



„HILTRON“ (საიდ. №70584/03 IR 1144404) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (42-ე კლასი). საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 13 დეკემბრის №2495/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „HILTRON“ დაცვას არ ექვემდებარება, რადგან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „HILTRON“ (ლათინური ანბანით შესრულებული) უღერადობით ჰგავს კომპანიის “ჰელტ ინტერნეშენელ იპ ლტკ“-ს (HLT INTERNATIONAL IP LLC) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებულ ლათინური ანბანით შესრულებულ ნიშანს: “HILTON“ (რეგ. №951, რეგ. თარიღი: 18/08/1995) და აგრეთვე მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია “ჰელტ ინტერნეშენელ იპ ლტკ“-ს (HLT INTERNATIONAL IP LLC) სახელზე რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებულ ნიშანს „HILTON“ (რეგ. №740042, რეგ. თარიღი: 20/06/2000), რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ, არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “HILTRON“ IR 1144404 საქართველოში დაცვაზე უარის თქმის საფუძველი 42-ე კლასის მომსახურებისათვის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად. სააპელაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არის იდენტური და მათ შორის არსებობს საკმარისი ვიზუალური და სემანტიკური განსხვავება, იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ ამ სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიების მიერ გაწეული მომსახურების ერთმანეთში აღრევა. ამ ნიშნებს შორის არსებული განსხვავების გარდა,

არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ გაუქმდეს ექსპერტიზის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს “HILTRON“ IR 1144404 მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალისათვის. ექსპერტმა გადაწყვეტილების გამოტანისას საერთოდ არ მიაქცია ყურადღება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო განაცხადების შეტანის თარიღებს და აქედან გამომდინარე, არ გაითვალისწინა ის, რომ იმ დროს მოქმედ ნიშნის კლასიფიკაციის მე-6 და მე-7 რედაქციებში 42-ე კლასის მომსახურება შეიცავდა ყველა იმ მომსახურებას, რომელიც ამჟამად მოქმედი მე-10 რედაქციის მიხედვით, გადანაწილებულია 42-ე, 43-ე, 44-ე და 45-ე კლასებში. კერძოდ, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში 42-ე კლასში მითითებული მომსახურების ჩამონათვალი, ბოლო მე-10 რედაქციის მიხედვით, მიეკუთვნება 43-ე კლასს. ექსპერტმა განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანზე ექსპერტიზისას ყურადღება მიაქცია მხოლოდ კლასის ნომრებს, საერთოდ არ გაითვალისწინა მომსახურებების არაერთგვაროვნება, რომ აღარაფერი ვთქვათ ნიშნის კლასიფიკაციის დღეისათვის მოქმედი მე-10 რედაქციის სრულ უზულვებელყოფაზე, და შედეგად გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “HILTRON“ IR 1144404 საქართველოში დაცვაზე 42-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალისათვის. სააპელაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, აშკარაა განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისა და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების არაიდენტურობა და მომსახურების ჩამონათვლის არაერთგვაროვნობა, მითუმეტეს, რომ ამჟამად, მოქმედი ნიშნის კლასიფიკაციის მე-10 რედაქციის თანახმად, ისინი მიეკუთვნება საერთაშორისო კლასიფიკაციის სხვადასხვა - 42-ე და 43-ე კლასებს, შესაბამისად არ არსებობდა საფუძველი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “HILTRON“ IR 1144404 42-ე კლასის საქონლისათვის საქართველოში დაცვაზე უარის თქმისა და მას უნდა მიენიჭოს დაცვა საქართველოში სრული განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალისათვის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ

გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია მათი მომსახურების ჩამონათვალი. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 42-ე კლასის იმ მომსახურების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მომსახურებასთან, კომპიუტერული პროგრამების დიზაინთან და მის განვითარებასთან, ინდუსტრიულ ანალიზთან და კვლევებთან (Scientific and technological services and research and design relating thereto; industrial analysis and research services; design and development of computer hardware and software), რომელიც ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის თანახმად, კლასიფიცირებულია 42-ე კლასში. ხოლო რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, ისინი დარეგისტრირებული არიან ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-6 და მე-7 რედაქციის თანახმად, 42-ე კლასის იმ მომსახურების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სათავსოებით უზრუნველყოფის მომსახურებასთან, სასტუმროებთან, რესტორნებთან, ბარებთან, კაფეებთან, კვების პროდუქტებითა და სასმელით მომარაგებასთან, სასტუმროს ნომრების დაჯავშნასთან. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მომსახურების ჩამონათვალს არანაირი კავშირი არ აქვს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მომსახურების ჩამონათვალთან, კერძოდ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მომსახურებასთან. ამ უკანასკნელი მომსახურების ტიპი მისი განსხვავებული ხასიათის გამო ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის მე-10 ახალი რედაქციის თანახმად, კლასიფიცირებულია უკვე სხვა კლასში, კერძოდ 43-ე კლასში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის

მიმართ არ მოხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „HILTRON“ (საიდ. №70584/03 IR 1144404) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ე კ ი ტ ა :

1. კომპანია „ჰილტრონ გეზელშაფტ მიტ ბეშრანკტერ ჰაფტინგ, ჰფ-სენდეუნდ ემპფანგსტექნიკ“-ის (Hiltron Gesellschaft mit beschränkter Haftung, HF-Sende- und Empfangstechnik) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 13 დეკემბრის №2495/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HILTRON“ (საიდ. №70584/03 IR 1144404) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების  
გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ლ. ახოზაძე

მ. ბაკურაძე